ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 51/2

ქ. ხობი 10 ივლისი 2013 წელი

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N189, საიდენტიფიკაციო კოდი 244688600; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი:GE71LB0120154257520000/33030862; სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101465; მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის კახაბერ ბენიძის სახით

და მეორეს მხრივ შპს "სახლმშენი" (შემდგომში მიმწოდებელი) მისამართი: ქ. ხობი. წერეთლის ქ. N12 ტელეფონის ნომერი:551080998; საიდენტიფიკაციო კოდი:444548107; ანგარიშის ნომერი:GE32LB0113142955128000; ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი; ბანკის კოდი:LBRTGE22; მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დირექტორის გიორგი ბერაიას სახით

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების ობიექტს: წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის N466 განკარგულების („სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ") საფუძველზე ახალსოფლის თემის სოფელ გაღმა პირველი ხორგის საბავშვო ბაღის ოთახების რემონტის სამუშაოების, ქარიატის თემის სოფელ გამოღმა ქარიატაში სკოლის ეზოს ღობის რეაბილიტაციის სამუშაოების და ბიის თემში სოფელ ბიაში საბავშვო ბაღის რემონტის სამუშაოების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 კლასიფიკატორის კოდი:45442480; 45342000; 45214100;

1.3 ხელშეკრულების ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს ჩათვლით) შეადგენს **22968.70** (ოცდაორი ათას ცხრაას სამოცდარვა ლარი და 70 თეთრი) ლარს.
აქედან:
1. ახალსოფლის თემის სოფელ გაღმა პირველი ხორგის საბავშვო ბაღის ოთახების რემონტის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით -5056.3 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

2. ქარიატის თემის სოფელ გამოღმა ქარიატაში სკოლის ეზოს ღობის რეაბილიტაციის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით -3667.44ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

3. ბიის თემში სოფელ ბიაში საბავშვო ბაღის რემონტის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით - 14244.96 ლარი(დღგ-ს ჩათვლით)

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიწოდებული სამუშაოს ხარისხი შეესაბამებოდეს მისთვის დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს.

3.2 შესრულებული სამუშაოების(ახალსოფლის თემის სოფელ გაღმა პირველი ხორგის საბავშვო ბაღის ოთახების რემონტის სამუშაოების და ბიის თემში სოფელ ბიაში საბავშვო ბაღის რემონტის სამუშაოების) სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელს, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია „მიმწოდებლის" მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

4. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

4.1ახალსოფლის თემის სოფელ გაღმა პირველი ხორგის საბავშვო ბაღის ოთახების რემონტის სამუშაოების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმების მომდევნო დღიდან 20 კალენდარული დღით - 2013 წლის 31ივლისამდე.

4.2 ქარიატის თემის სოფელ გამოღმა ქარიატაში სკოლის ეზოს ღობის რეაბილიტაციის სამუშაოების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმების მომდევნო დღიდან 17 კალენდარული დღით - 2013 წლის 28 ივლისამდე.

4.3 ბიის თემში სოფელ ბიაში საბავშვო ბაღის რემონტის სამუშაოების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმების მომდევნო დღიდან 25 კალენდარული დღით - 2013 წლის 5 აგვისტომდე.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტებით.

5.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს კონტროლის ჯგუფი, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

5.3 ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.4 შესყიდვის ობიექტის მოცულობის, რაოდენობის ან წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით.

6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი" განახორციელებს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ელექტრონული ვერსია) , ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის და შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება- ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 20(ოცი) დღის განმავლობაში, შესაძლებელია განხორციელდეს შუალედური გადახდები , ზემოაღნიშნული პირობების დაცვით.

6.3 წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან სახელშეკრულებო თანხის 60 %-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ იმავე თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

6.4 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ავანსის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას.

6.5 შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანამად :

A * (X %- Y%)

z = ----------

70-20

z= არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში

A= წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას

X= წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისათვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში, ეს მონაცემები არ აღემატება 70 %-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

7.1.2 უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან არაუადრეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

7.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.2.1 მიმწოდებლისგან მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტის ხელშეკრულებით დაგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;

7.2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

7.2.3 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმება;

7.2.4 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;

7.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

7.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;

7.3.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით;

7.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

7.3.6 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.4.1 შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი

9. ფასები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. შეტყობინება

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 ხელშეკრულების შერულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანმხდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

13.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

13.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობების ამ მუხლში.

13.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების (იგულისხმება შეუსრულებელი ობიექტის) თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 30 დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების (იგულისხმება შეუსრულებელი ობიექტის) ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.

13.4 თუ ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში არ იქნება დაწყებული სამუშაოები და თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების (იგულისხმება შეუსრულებელი ობიექტის) ღირებულების 10%-ს ოდენობით.

13.5. თუ კი მიმწოდებელი 13.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების (იგულისხმება შეუსრულებელი ობიექტის) თანხის 10%-ის ოდენობით.

13.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების

დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.

14.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

14.5. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

14.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების

გარანტის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლისათვის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი "'ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით , კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით , საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზის შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს . საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების კონტროლი

17.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

17.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს გამგეობის კონტოლის ჯგუფი.

17.3 ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

17.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

17.5 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცეში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელიშემშლელი პირობები და წარუდგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით.

18.2 ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე.

დასკვნითი დებულებანი

19.1 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
19.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
19.3 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
19.4 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
19.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

20.მხარეთა ხელმოწერები

საფუძველი: ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ ა. სართანიას მოხსენებითი ბარათი (N10/1352 09.07. 2013წ)

ხელშეკრულება შეთანხმებულია:

1. გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი: ბ. ჯობავა
2. გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: ა. სართანია
3. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ჭოჭუა
4. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი: ბ. შონია
5. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი : შ. სირაძე

ხელისმოწერა და ბეჭედი

„შემსყიდველი“
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელი
ჯახაბერ ბენიძე

„ მიმწოდებელი“
შპს „სახლმშენი“-ს
დირექტორი
გიორგი ბერაია

სოფელ გალმა პირველი ხორგის საბავშვო ბაღის ოთახების რემონტის სამუშაოების დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდ.	ერთ. ღირებ.	მთლიანი ღირებ.
	თავი-ა				
	I თავი				
1	ხის ალათებიანი ფანჯრის ბლოკის დემონტაჟი 2,51X1,08X1; 2X1,8X3	100მ2	0,153	0	0,00
2	ხის კარებების ბლოკის დემონტაჟი 1,1X2,2X1; 0,9X2,2X2 0,8X2,2X9	100მ2	0,0638	0	0,00
3	ხის იატაკის აყრა და დასაწყობება შემდგომში გამოყენებისათვის	100მ2	1,1316	0,00	0,00
	I თავის ჯამი				0,0
	II თავი სამონტაჟო სამუშაოები				
1	№3 და №4 ოთახებში ხის იატაკის მოწყობა არსებული იატაკიდან მოხსნილი და დამუშავებული მასალით ახალი ფიცარით სისქით 40 მმ დამატებით	მ2	115,155		1696,02
	ფიცარი გასალაშინებული სისქით 40 მმ	მ3	2.000	500,00	1000,00
	პლინტუსი	გრძ/მ	123,216	5,6488	696,02
2	მეტალო-პლასტმასის ფანჯრის მოწყობა 2,51X1,8X1; 2X1,8X3	100 მ²	0,1532	9000	1378,80
3	მეტალო-პლასტმასის კარების მოწყობა 3ც 1.1X2.2X1; 0.9X2.2X2	100 მ²	0,0638	9000	574,20
4	არსებული ფანჯრის ბლოკების შემინვა (4 მმ-მინა)	100მ2	0,198	1200	237,60
	II თავის ჯამი				3886,62
	I II თავების ჯამი				3886,62
	ზედნადები ხარჯები	%	5		194,33
	ჯამი				4080,95
	გეგმიური დაგროვება	%	5		204,05
	ჯამი				4285,00
	დ.ღ.გ.	%	18		771,30
	ჯამი				5056,30

შპს „ სახლმშენი"-ს დირექტორი: …ბერაია/

05.07.2013

...ბის მუნიციპალიტეტის ქარიატის თემში სოფელ გამოღმა ქარიატის სკოლის ეზოს ღობის სარეაბილიტაციო სამუშაოები

№	სამუშაოების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	4	5	6	7
1	არსებული ღობის დემონტაჟი	100მ2	1.53	45	68,9
2	სამშენებლო ნაგვის გატანა 1კმ-ზე	ტ	12,9	9	116,1
3	წერტილოვანი ორმოების ამოღება ლითონის ბოძების მოსაწყობად ზომით 0,2X0.2X0,25X52	მ³	0.52	50,00	26,0
4	ლენტური სადირკვლის გათხრა ხელით ზომით 0.2X0.15X92	მ³	2.76	29,50	81,4
5	ლითონის ბოძების ჩაბეტონება (ბეტონი მ-200) 0,2X0,2X52	მ³	2,10	100,00	210,0
	ლითონის მილი 40X3,5მმ **H**=1,85მ 52 ცალი	გრძ/მ	96,20	4,002	385,0
6	ლითონის კარების რეაბილიტაცია	ტ	0,005	5000.00	25,0
	სამონტაჟო დეტალები	კგ	5.00	10.00	50,0
	ბეტონი მ-200 (0,3*0,5*5,0)	მ3	0,750	100,00	75,0
7	ლენტური საძირკვლისა და ზეძირკვლის მოწყობა მავთულბადის ჩაბეტონებით (არსებული მავთულბადის 50% გამოყენებით) 5სმ სიღრმეზე ბეტონით მ-200 (0.3*0.2*102)	მ³	6.12	100,00	612,0
	მავთულბადე 1.5X50 3.8 მმ.	მ2	75.00	5.00	375,0
	არმატურა a-I d-6 მმ.	გრძ/მ	102,00	0.40	40,8
	ლითონის კუთხოვანა 30X30X4 (არსებული 25 გრძ/მ-ის გამოყენებით)	გრძ/მ	77.00	3,00	231,0
8	ლითონის კონსტრუქციის შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ	100მ²	1,6	200	320,0
	ჯამი				2616,16
	ზედნადები ხარჯები	%	10		261,62
	ჯამი				2877,78
	გეგმიური დაგროვება	%	8		230,22
	ჯამი				3108,00
	დ.ღ.გ.	%	18		559,44
	ჯამი				3667,44

შპს „ სახლმშენი"-ს დირექტორი ზ. ბერაია

05.07.2013

...ის თემის სოფელ ბიაში საბავშვო ბაღის შენობის სარემონტო სამუშაოების დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდ.	ერთ. ღირებ.	მთლიანი ღირებ.
1	3	4	5	6	7
	ოთახები				
1	ხის ფანჯრის ბლოკის დემონტაჟი 6ცალი	100 მ2	0,1726	0	0,00
2	ხის კარის ბლოკის დემონტაჟი 6 ცალი	100 მ2	0,1531	0	0,00
3	მეტალოპლასტმასის კარის ბლოკის მოწყობა 6 ცალი	100 მ2	0,1531	9000	1377,90
4	მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკის მონტაჟი 6 ცალი	100 მ2	0,1726	9000	1553,40
5	კარ-ფანჯრების ფერდოების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	100 მ2	0,372	500	186,00
6	შიდა კედლების მაღალხარისხოვანი მოპირკეთება ქვიშა-ცემენტის ხსნარით	100 მ2	0,18	500	90,00
7	ჭერის მომზადება და შეღებვა ემულსიის საღებავით	100მ2	1,01	600	606,00
	ემულსიის საღებავი	კგ	63,63	0,00	0,00
	ფითხი	კგ	92,92	0,00	0,00
8	კედლების მომზადება და შეღებვა	100 მ2	1,93	600	1158,00
	საღებავი1.7X63	კგ	121,59	0,00	0,00
	ფითხი 1.7X79	კგ	152,47	0,00	0,00
9	იატაკის მოწყობა ლამინატით	100 მ2	0,51	1500	765,00
10	სველ წერტილებში იატაკის მოწყობა მეტლახით	100 მ2	0,16	2556,25	409,00
11	სველ წერტილებში კედლის მოწყობა კაფელით	100 მ2	0,18	2500	450,00
12	იატაკის შეღებვა	100 მ2	0,34	372,65	126,70
	საღებავი	კგ	13,07	0,00	0,00
13	ლითონის მოაჯირის მოწყობა	100 მ2	0,06	4000	240,00
	ჯამი I თავის				6 962,00
	სახურავი				
1	დაზიანებული ბურულის დემონტაჟი	100 მ2	0,350	0	0,00
2	სახურავის დაზიანებული ადგილების შეცვლა ასბო-ცემენტის შიფერით	100 მ2	0,350	1000	350,00
	თუნუქის ფურცელი	მ2	16,000	8	128,00
	ჯამი II თავის				478,00
	წყალსადენი კანალიზაცია				
1	პლასტმასის მილების მონტაჟი	გრძ.მეტრი	4,00	25	100,00
	პლასტმასის დ100მმ მილი	გრძ.მ	6,00	4,00	24,00
	პლასტმასის დ20მმ მილი	გრძ.მ	60,00	2,00	120,00
	მუფთა 20მმ	ცალი	8,00	0,50	4,00

	...ილი 20მმ				
	სამკაპი 20მმ	ცალი	6,00	1,00	6,00
	ვენტილი 20მმ	ცალი	2,00	0,50	1,00
	მუფთა 100მმ	ცალი	4,00	3,00	12,00
	მუხლი 100მმ	ცალი	3,00	6,00	18,00
	სამკაპი 100მმ	ცალი	4,00	2,50	10,00
	უნიტაზის მოწყობა	ცალი	2,00	2,50	5,00
2	უნიტაზი ნამრეცხით	ცალი	2,00	25	50,00
	სიფონი	ცალი	2,00	100,00	200,00
	ნიჟარის მოწყობა	ლარი	2,00	5,00	10,00
3	ნიჟარა	ცალი	2,00	25	50,00
	სიფონი	კომპლექტი	2,00	100,00	200,00
4	წყლის გამაცხელებლის მონტაჟი	ლარი	2,00	5,00	10,00
	წყლის გამაცხელებელი	100მ	0,60	100	60,00
	მიწის გათხრა მილის ჩასადებად გვერდზე მიყრით	ცალი	1,00	350,00	350,00
5	წყლის ნასოსის მონტაჟი და წყლის მილის მიერთება არსებულ მილთან	100მ	0,12	100	12,00
	წყლის პლასტმასის მილი 20 მმ	გრძ.მ	120,00	3	360,00
	კაბელი	გრძ.მ	120,00	3,00	360,00
	კაბელ არხი	გრძ.მ	90,00	1,4833	133,50
	წყლის ნასოსი (ტუმბო)	გრძ.მ	90,00	1,00	90,00
6	ელ. კაბელის მონტაჟი 2X16	ცალი	1,00	350,00	350,00
	ელ.კაბელი 2X16	100მ	0,60	25	15,00
	ელ-მრიცხველის მონტაჟი ყუთით	გრძ.მ	60,00	2,5834	155,00
	ჯამი III- თავის	ცალი	1,00	500	500,00
	I-II-III თავების ჯამი				3 205,50
	ზედნადები ხარჯები %				10 645,50
	ჯამი:	8			851,64
	გეგმიური დაგროვება %				11 497,14
	ჯამი:	5			574,857
	დღგ %				12 071,999
	ჯამი:	18			2172,96
					14 244,96

შპს „სახლმშენი“-ს დირექტორი: